ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაპალოვ

140
2004



საბა ქუთელია

ანუკა
გაბუნია



ნიკა
პატარიძე

ანა
ჯერვალიძე

გვანცა
ფუტკარაძე

საქართველოს მომავალი



რვა თვის საბა-ბიჭს ჯერ სულ რამდენიმე კიჭი აქვს და ქოჩორიც ჯერ ბოლომდე არ წამოზრდია, მაგრამ შეხედეთ — უკვე ნამდვილი ვაჟკაცია. ჰოდა, ეს ვაჟკაცი დაბადების დღეს ულოცავს თავის საყვარელ დედიკოს, სოფოს, უსურვებს მას ჯანმრთელობას, ბედნიერებას, დიდხანს სიცოცხლეს და ჰპირდება, რომ ჭკვიანი, განათლებული, დირსეული, საიმედო ვაჟი გაიზრდება, მშობლებსაც [illegible] და საშმობლოსაც [illegible]

საბა ქუთელია

შოთიკო და გიორგი ჩხეტიანშვილები

ანა დავაძე

თმილისის 59-ე საშუალო სკოლა, IV³ კლასი, სილმბღვანელი ლია სამსონაძე

თმილისის სკოლა-ლიტეუმი „სხივი“, I-II კლასი, სილმბღვანელი მარიკა როგაძიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკადული

საყმაწვილო ჟურნალი

2004 წ. №5

ჩვენი ჟურნალი 1904 წლის სასიქადულო მამულიშვილთა მესვეურთმით დაარსებული პირველი ქართული საყმაწვილო ჟურნალის ნათელმაბეზეა ამოზრდილი. მოგვიანებით მას სასული მოეცვალა და „პიონერი“ ეწოდა, 1990 წლიდან კი იგი ჯერად თავისი პირველდელი სახელით გამოდის.

ნომრის შინაარსი

რა ხდება და რა მოხდება ჩვენს სკოლებში? ---------- 2

„ნაკადულის“ საინფორმაციო სააგენტო „ფაქტი“ ---------- 3

გიორგი პაპუაშვილი – ჩვენს ბიძებს გაუმარჯოს! (მოთხრობა) -- 4

ყველაზე დიდი სიკეთე ---------- 8

მეგობრობა გზად და ციდად ---------- 10

„ოდოშხერი“ ---------- 7,11,14

საკონტროლო წერა თემაზე: „ქალიან მიყვარხარ“ ---------- 16

ქართული საჭურველი ---------- 18

ჩვენი ეგვიპტის არქიტექტურა (მშენიერების სამყაროში) ------- 21

საყვარელი ფერი და ასაკი ---------- 28

ახალი სკოლანდიის აღმოჩენა (კომიქსი) ---------- 29

სიცილის გაკვეთილი ---------- 31

რედაქტორი
მანანა გელაშვილი

მისამართი: 380008, თბილისი, კოსტავას ქ. 14
ტელეფონები: 93-31-81; 93-18-84.
ინდექსი: 76157
ფასი 1 ლარი
რეგისტრირებულია მთაწმინდის სასამართლოში

ს. ყანჩაველის მაგალითსაცხის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ხდება და რა მოხდება ჩვენს სკოლებში?

დღეგებით კლასებში მიმდინარე სასწავლო პროცესის შემოწმების და მისი აკადემიანობის დადგენის მიზნით, შარშან საქართველოში შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა პირველ-მეოთხე კლასებში ჩატარა სასწავლო პროცესის სახელმწიფო შეფასება მშობლიურ ენაში. შეფასება ითვალისწინებდა ოთხი კომუნიკაციური უნარ-ჩვევიდან (წერა, კითხვა, საუბარი, მოსმენა) ორის – წერისა და კითხვის და აგრეთვე ლექსიკისა და გრამატიკის ცოდნის შემოწმებას. ყველაზე საკვლევო დონე წერაში გამოვლინდა – შემოწმებულ მოსწავლეთა 47 პროცენტი აზრის წერილობით გადმოცემას ვერ ახერხებს, 83 პროცენტი კი არ იცავს პუნქტუაციის ელემენტარულ წესს, არ სვამს წერტილს თხრობითი წინადადების ბოლოს. სრულყოფილი წერით მეტყველების უნარი დაწყებითი კლასების მოსწავლეთა მხოლოდ 11 პროცენტმა გამოამჟღავნა, მოთხოვნებს ნაწილობრივ უპასუხა 38 პროცენტმა, შეთხზეს ანუ შემოქმედებითად აზროვნების ნიჭი კი ძალზე ცოტას, სულ 4 პროცენტს აღმოაჩნდა.

უკეთესი შედეგები აჩვენეს ბავშვებმა კითხვასა და ლექსიკის სფეროში – აქ საერთო შედეგი დამაკმაყოფილებლად შეფასდა. შემოწმების შედეგად კიდევ რამდენმე მომენტი გამოკვეთა, სახელდობრ კი ის, რომ თითზეკიდის პროგრამას გოგონები უკეთესად სძლევენ, ხოლო საცხოვრებელი ადგილის მიხედვით – მაღალმთიანი რაიონების სკოლების მოსწავლეებს ბევრად უფრო უჭირთ თითზეკიდის პროგრამის დაძლევა ვიდრე ქალაქისა და ბარის რეგიონების სკოლებისას, რაც ბრევრ რიგში ინფორმაციის ნაკლებობით აიხსნება.

ქვეყნის განათლების სისტემაში არსებული მდგომარეობის აშსახველი მრავალი მსგავსი საგანგაშო მაჩვენებლითა თუ მახასიათებლით შეშფოთებულმა განათლების და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ ასეთი აზრიც კი გამოთქვა, რომ საქართველოში ლამის დღესაც გვჭირდება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ჩამოყალიბება. „მდგომარეობა მართლაც კრიზისულია, დარგი ფაქტობრივად „კომაშია". ეს შორიდანაც ჩანდა, მაგრამ რეალობამ მოლოდინს გადააჭარბა", – განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში ბატონმა მინისტრმა და კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი განათლების სისტემაში ძირეული რეფორმების გატარების აუცილებლობას.

რეფორმირების პროცესი კი უკვე დაიწყო და თანაც საკმაოდ ეფექტიანად. გეზი ასეთია ალებული – ჩვენი ტრადიციების გათვალისწინებით დასაელური ტიპის საშუალო განათლების დამკვიდრება.

თანაბრად განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №40 ბრძანებისა, რომელიც უშალ „ისტორიულად" მოინათლა, ქვეყნის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საშუალმდე გაუქმდა ყოველგვარი გამოცდები. გაუქმდა აგრეთვე დაწყებითი განათლების დამადასტურებელი მოწმობა, რომელსაც სკოლა ყველა ექვსკლასდამთავრებულ მოსწავლეს აძლევდა.

რაც შეეხება მეცხრე კლასის, ანუ საშუალო განათლების ატესტატს, რომელსაც ასევე ყველა ცხრაკლასდამთავრებული იღებდა, მას მხლოდ ის მოსწავლეები მიიღებენ, რომლებიც სხვა ტიპის ან სხვა ქვეყნის რომელიმე სასწავლებელში აპირებენ სწავლის გაგრძელებას ან არ ფიქრობენ მე-10 კლასში გადასვლას. ეს ატესტატებთან დაკავშირებული კიდევ ერთი სიახლე – თუ ადრე ატესტატისთვის მშობელს გარკვეული თანხა უნდა გაეღო, ამიერიდან ის მოსწავლეები, რომლებსაც ატესტატი დასჭირდებათ, უფასოდ მიიღებენ მას.

ძალაში რჩება 11 კლასის დამთავრების დამადასტურებელი მოწმობა. მომავალი წლიდან მეთერმეტეკლასელებს ელის ტესტური გამოცდა, რომელიც იმავდროულად უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდას ჩაანაცვლება. როგორც ბატონმა მინისტრმა ბრძანა, ტესტებში თავიდან, პირველ წელს შევა ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა, უნარ-ჩვევები, არაპუმანიტარულ სპეციალობებზე შემსვლელთათვის კი – მათემატიკა...

ბევრი რამ შეიცვლება სკოლების მართვაშიც. სკოლებში აირჩევენ სამეურვეო საბჭოებს, დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადდება კონკურსი. ახალი აკადემიური წლიდან დაიწყება სკოლების თვითმმართველობის რეფორმა გადასვლა.

სახელმწიფო ენის სწავლებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის აოწლიანი პროგრამა, რომლის განხორციელებაც, სავარაუდოდ, ორ წელიწადში დაიწყება, ითვალისწინებს ქვეყნის ტერიტორიაზე ყველა ძირითადი საენის სახელმწიფო, ანუ ქართულ ენაზე სწავლას (საუბარია არაქართულენოვან სკოლებზე). ამ პროგრამით გათვალისწინებულია ყოველწლიური სამუშაო გეგმის განხორციელება დაწყებული საბაჟმო ბაღით, მასწავლებლების, მშობლების, სახელმძღვანელოების მომზადებით დამთავრებული.



„ნაჯაღუღის“ საინფორმაციო საბჭოს „ფაქტი“

მოსწავლეები ხუდადოვის ტყეს უპატრონებენ

თბილისის №5 და №8 სკოლების მოსწავლეებმა მათ რაიონში მდებარე ტუბდისპანსერის მიმდებარე ხუდადოვის ტყის მოვლა-დასუფთავება იდეს თავს. მოზარდებმა ტყის მიდამოები ნაგვისგან გაწმინდეს და 50-მდე ფიჭვის ნერგიც დარგეს. ეს მათი ერთჯერადი აქცია არ ყოფილა, გოგო-ბიჭებმა გადაწვიტეს, რომ მომავალშიც თვითონ უპატრონებენ აქაურობას და საკუთარ წვლილს შეეტანენ დედაქალაქში წესრიგისა და სისუფთავის დამყარების საქმეში.

ხელოვნების გიმნაზიის იუბილე

საკუთარი სასწავლებლის 25 წლის იუბილეს და მისი ყოფილი დირექტორის დავით ტურიაშვილის ხსოვნას მიუძღვნეს სოლიო ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზიის მოსწავლე-მასწავლებლებმა რიგი ღონისძიებებისა, რომლებიც მათი ნაღვაწის საჯაროდ გამოტანას ისახავდა მიზნად. რკინიგზელთა სახლში მათ წარმოადგინეს კომპოზიტორ დავით ტურიაშვილის მიუზიკლი „ფიფქია თავგადასავალი“, „ქარავასლის“ საგამოფენო დარბაზში მოეწყო გიმნაზიის სახვითი ხელოვნების განყოფილების აღსაზრდელთა ნამუშევრების გამოფენა.

ბელა და თორნიკე მსოფლიო ჩემპიონატში იასპარეზებენ

საქართველოს 16 წლის მოჭადრაკეთა მორიგ პირველობაში ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის ასამდე მოსწავლე მონაწილეობდა. გოგონებს შორის უძლიერესი თელავის მე-4 საშუალო სკოლის მეათეკლასელი ბელა ხოტენაშვილი აღმოჩნდა (მწვრთნელი გ. მაჭარაშვილი), ბიჭებში კი – თბილისის 162-ე სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე თორნიკე სანიკიძე (მწვრთნელი ვ. ურადია). ამ გამარჯვებით ბელამ და თორნიკემ თანატოლთა მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს, მეორე ადგილეზზე გასული ქრისტინე მეჟაია და დავით ბენიძე კი ევროპის პირველობაზე წარადგენენ ქართულ საჭადრაკო სკოლას.

„ებრაული ცეკვის თეატრის“ წარმატება

„ქართულ-ებრაული ცეკვის თეატრის“ საბავშვო დასი, რომელიც ორი წლის წინ შეიქმნა, მოსკოვში გამართული ებრაული კულტურის მერვე საერთაშორისო ფესტივალიდან გრან-პრით ხელდამშვენებული დაბრუნდა. ანსამბლის მოცეკვავეებმა საფესტივალო სცენაზე ორი ცეკვა წარმოადგინეს – ერთი ებრაული და ერთიც ქართული. ებრაულ ცეკვაში „საზეიმო“ გამოყენებულია რელიგიური რიტუალების გავლენით შექმნილი კომპოზიციები, ქართული „სატრფიალო“ კი სიყვარულის თემაზეა აგებული.

გიორგი ჯაჯანიშვილი

მხატვარი
ალაკი
თეთვნაძე

ჩვენს პიქპაზ ეპაუპაჯეიც!

მოთხრობა

ს ოფელში იმ დროს ჩავედი, როცა რთველი ახლოვდებოდა. დედაჩემმა შემომწიელა, ქვევრი გვაქვს გასარეცხი. მეც გამოვცვალე შარვალი, გადავიბანე ფეხები და ქვევრში ჩასვლა დავაპირე. ჩავყავ კიდევ ფეხი... ხან აქეთ მოვტრიალდი, ხან იქით მიეტრიალდი, ასეც ვცადე, ისეც, მაგრამ...

გაეცინა დედაჩემს.

მეც გამეცინა.

კიდევ შევეცადე, ჰაი იქით, ჰაი აქეთ, მაგრამ ვერა და ვერა!

რა დამმართა?!

– გასუქებულხარ, შვილო, მუცელი არ გიშვებს.

– მუცელი კი არა, თვითებამდეც ვერ ჩავდივარ. – ვიმართლე თავი.

– ჰოდა, სიმსუქნის ბრალია. ხარს რომ იალაღზე გაუშვებენ, შენც ისე მოგსვლია.

– მერე უფლისა ვიღარ ეწევა, არა?

– უფლაში როგორ ვერ ეწევა, ნაიალაღარ ხარს ორკეკერ მეტი ღონე აქვს, მაგრამ მალე იღლება.

– მეც მალე ვიღლები.

– ჰოდა, მე ეგ გითხარი.

თავი დამაშავეცან ვიგრძენი. შარვალი ჩავიცვი და იქვე, ერთიცილა სკამზე ჩამოვჯექი. რა უნდა მექნა? გასარეცხს ხომ ვერ დავტოვებდი, ყურძენი რაში ჩამეწურა?

– დიდ ქვევრს გავრეცხავ.

– სადიდო არაფერია, შვილო. ჯერ იფო და ამ გზაფხულზე სტუმკვამ განაადგურა. თუ რამე გადარჩა, გვალვამ შეჭამა. ცამ ისე შეიცრა პირი, გუშინწინამდე წვეთი არ ჩამოადგა. წვიმას კი ახლა უკვე ზარალის მეტი არაფერი მოაქვს.

„მაშ რა ვქნა? – ვფიქრობდი ჩემთვის, – სხვას დავუახო, სირცხვილია. იტყვის, თვითონ ბატონყაცურად შინ დამჯდარა და მე ქვევრს მარეცხვინებსო. ხომ ვერ ვიტყვი, მუცელი მიშლის-მეთქი“. უცერ გამახსენდა... მოკასინებში წავყავი ფეხი, მარნის კარებში გამოვეყენე და:

– თამაზ!

– რა, გიგა ძაავ?

– აქ მოდი!

თამაზი კაკალზე ყოფილიყო ასული. წინადღეებში დაბერტყილ ხეს კენწეროებში კიდევ შერჩენოდა და მათ მოსაგონგორაველად დაძერებოდა. ჩემს ხმაზე უცაბედ დარიახდა და ერთ წამში მიწაზე გაჩნდა.

– მოვდივარ, – დაიძახა და თან კაკალთ საცე უბეს სიამოვნებით მოეფერა.

სანამ მიეხედავდი, თამაზი ჩემთან გაჩნდა, ნიკეზით გამოტენილი პირი ქუეინასავით აეკფენინა და ქშინავდა.

– აი, ფედი, თამაზოც ქშინავს. ეტყობა, ეხეკ სუფდება.

თამაზს გაეცინა. ჩემს გაწყდილ ხელისგულს თავით გაეხახუნა და მარნის კარებში შემოძერა.

– რა გინდოდა?!

– ქვევრი უნდა გამირეცხო!

– ქვევრი?!

– ჰო, ვერ გარეცხავ?

– რატომაც ვერ გავრეცხავ! მაგრამ ამ კარგად მე გავრეცხავ.

– ოჰო! – შეკვეტა და ბეჭებზე ხელი მოვუთათუნე.

თამაზი ჩემმა შეეშამ უფრო გაათამამა, უბიდან ერთი მუჭა კროლი კაკალი ამოიღო და გამოძანწიოდა. მეც მუჭა გავუშვირე, მაგრამ მეორედაც რომ უბისკენ წაიღო ხელი, ეიუარე:

– არა, აღარ მინდა!

– მაშ ქვევრში კაკლებით ხომ არ ჩავალ, ე! შეინახე!

– კარგი, ამოიღე კაკლები. ქვევრიდან რომ ამოხვალ, ერთად დავამტკრიოთ და ვიქ�.

ქეიფის ხსნებაზე თამაზს სახე გაებადრა. მართალია, ღვინოს არა სვამს, მაგრამ ქეიფი მარტო ღვინის სმა როდია. ქეიფი ლხინი და სიცილია.

თამაზი თორმეტი წლისაა. ახლა ის უკვე მეხუთე კლასში სწავლობს. თითქმის ოცდახუთი წლის წინათ მეც ასე ვიყავი. ოღონდ, მაშინ ომი იყო და ვშიმშილობდი. თამაზი კი... ერთი შუხედეთივე ეტყობა, რომ ჯანიანი ბიჭია.

– თამაზ, ჭიდაობ?

– ცოტ-ცოტას.

თამაზი რომ იტყვის „ცოტ-ცოტასო“, ეს „ძალიან ბევრს“ ნიშნავს.

დედაჩემმა ტაშტით წყალი მოუტანა და თამაზს საფულდაფულად დაპპანა ფეხები. მე კი წელან ოფნავ მომწყურებია და მამაფეხნა. რატომ?! – რა ვიცი, ბაბეშია და ვერ ვეწალი, ნახვევრზე ფეხშიშველი დარბისო.

ფეხშიშველი მეც დავდიოდი ხოლმე, მაგრამ...

თამაზმა კაკლები ყაკმთან დაახვავი და ქვევრში ჩავიდა.

ქვევრში წყალი იყო ჩასხმული. ახლა მე მხოლოდ კრანსაა ჩამოვიდე კედლიდან, დაბერტყვე, წყალი გადავაკელ და ჩავაწოდე.

– მეც ასე მარეცხინებდა ხოლმე ბიძაჩემი. – ჩავაყოლე სიტყვები.

– შენც?! - თვალები გაუფართოვდა თამაზს. – ბაბა? ე!

– მამ ხსეა ვინ მყავდა ბიძა? რომელ ქვევრშიაც თვითონ ვერ ჩაეტევოდა, მე ჩამხვაშდა ხოლმე. თავასაც მე მადგმევინებდა.

თამაზი ფიცხდებოდა. ეტყობოდა, ქეიფი ეჩქარებოდა.

– ცოტათი კი ნუ უფაცეენე, – ჩაეძახე მაღლიდან. – ღონივრად გაუსვი კრასაპა. ჯერ წყალში ღრმად ჩაყავი, სწრაფად ამოუსვი, ქვევრის პირამდე ამოიტანე და იქიდან დაიწყე რეცხვა. მერე თანდათანობით ძირს დაუწევ და, როცა დაინახავ, წყალი აღარ გასდის, იხევ ჩაყოფ და ამოუსვამ. ჯერ შუას ზემით უნდა გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეცხო და მერე ქვემოთ. ბოლოს კიდევე, ფილი უნდა მოურეცხო საგანგებოდ.

– ვიცი, – მითხრა თამაზმა, მაგრამ შეკაზეგე, არ იცოდა.

მარანში კომშისა და ვაშლის სუნი დგას, კუთხეში კარტოფილით სავსე გოდრები აწყვია. გოდრის ქიმებზე ნივრისა და ხახვის გალები ჰკიდია. მაო ზეშოთ კი კამისა და გარეული პიტნის კონება ჩამოყრავებული. ცოტა აქეთ, ქვევრის სიახლოვეს, პატარა ლასტია ჩამოკიდებული და ზედ მწიფე პამიდორებია გაშლილი. მარნის კარებიდან მამლაყინწა იყურება.

ცოტა ხნის შემდეგ მამლაყინწა

გარეთ გახტა. მარანში დედაჩემი შემოვიდა, თან ორი ვედრო წყალი შემოიტანა.

– რა ჰქენით, შვილო. ჭურჭელი ხომ არ ვინდათ წყლის ამოსაღებად?

– წყალს მე ვერ მოვიტანდი? – შევაგებე პასუხი.

– შენ აქ იყავ, შვილო, დაისვენე!

დაისვენეო. რა გამაკეთებია, რომ დავისვენო. თუმცა ვიქნები ასე და თამაზს გავართობ, მასაც ხომ ჯერიანსგდება უნდა!

დედაჩემი გარეთ გავიდა. მერე ცარიელი ქაბები და ვედროები შემოიტანა და მითხრა:

– აი, შვილო, ჭუჭყიან წყალს რომ ამოიღებთ, ამ ჭურჭელში ჩაასხით. სუფთა წყალი კი იმ ვედროებშია. ბევრი რეცხვა არ მოუნდება. სულ ორი თვეც არ იქნება, რაც ამ ქვევრიდან ვენინ გადავიღეთ.

„ბევრი რეცხვა არ მოუნდებაო“ და მეც ეგ მინდა! მით უმეტეს – თამაზს. თუმცა ჯერ არცერთი სიტყვა არ დასცდენია საიმისო, რეცხვა ეზარებოდეს.

„შხუ-შხუ, შხუ-შხუ!“ – მოისმის ქვევრიდან. დროდადრო კი ეს მონტანერი ხმაური წყდება და თამაზის ხმა ამოიჭრება ხოლმე ქვევრის ყელიდან:

– გიგა ძიავ, ისევ მანდა ხარ?

– მაშ სად წავიდოდი!

– რა ვიცი... რას აკეთებ? – ძლივსღა ქშნაავს თამაზი, ეტყობა, დაიღალა.

– კაკალს ვამტკრევ, არ ვიქეფოთ?

– ჰო, ვიქეფოთ, დაამტკერე!

კაკლის დამტკერეა აზრადაც არ მომსვლია. ისე წამომეცა. ახლა კი იძულებული გავხდი, მართლა დამემტკრია. ფანჯრის რაფიდან პატარა ჩაქური ჩამოვიღე, ხუთნაფიანი ქვევრის თავზე რკინის ჯამი იდგა, ის მოვთარიე და კაკლის მტკრევას შეეუფლები.

– წყალი ამოსაღერეული ხომ არ გახდა? – აბა, ნახე! – ჩავახე ცოტა ხნის შემდეგ.

– არა ჩანს.

– აბა, მუჭით ამომაწოდე!

თამაზმა ქვევრიდან მუჭა ამოყო და ჩემკენ გამოიშვერა.

– ჭუჭყიანია, უნდა გამოვცალოთ.

ამოვრეცხეთ ერთი ხელი, ამოვრეცხეთ მეორე, ამოვრეცხეთ მესამე ხელი და წყალი ისეთი ამოვიდა, რომ დაილეოდა.

– ჩემი აზრით, რეცხვა ეყოფა! – ჩავახე მაღლიდან.

– მეც ასე მგონია. – ამომძახა სიხარულით.

– აბა, ახლა მაწყურას მოგაწვდი, კარგად მოამშრალე და ამოდი!

თამაზს საგანგებოდ გარეცხილი სუფთა ტილი ჩავუგდე. მან ქვევრს სწრაფად მიუსვ-მოუსვა ტილო და უკანვე ამომაწოდა. სველი ტილო მაგრად გავუწურე და ისევ უკან ჩავუგდე. მან ისევ მიუსვ-მოუსვა კედლებზე. ფილიც ამოუწმინდა ქვევრს და ისევ მომაწოდა.

– ცოტა წყალი კიდევ ჩამოშიხი. ფილი კარგად უნდა მოეურეცხო.

ცოტა წყალიც ჩავუსხი და, რიცა ორჯერ-სამჯერ კიდევ ჩავაწოდე ტილო და ამომაწოდა, ჩავაწოდე და ამომაწოდა, საქმეც მოთავდა და დედაჩემიც გამოჩნდა.

– არ მოგშვიდა, დედა გენაცვალოს?

– მოშშვიდა. აი, თამაზიც ამოვა და ვიქეფებთ. ნახე, კაკლები დავამტკრიე.

– ორიოდე კაკალი ძლივს მოუგონგორავებია და რად გაუტეხე, შვილო?

– არა უშავს რა, მაგათ ბევრი კაკალი უდგათ. არა, თამაზ?!

– მაშ, რა! – მიპასუხა თამაზმა და თან ქვევრის პირებზე ხელების დაბჯენით მარჯვედ ამოხტა მაღლა.

დედაჩემმა ხელახლა დაპანანინა ფეხები და გვითხრა:

– ახლა კი წამოდით და ვისადილოდ:

გაგრძელება მე-6 გვ.

ლოთ.

– ჩვენ არსად არ წამოვალთ. თუ რამეა, აქ მოგვიტანე. – ვუთხარი მე. – მარანში უნდა ვიქეიფოთ.

– მაგიდა რომ არ არის აქ?

– დიდი სკამი მაგიდა იქნება, პატარა სკამებზე კიდევ ერთ დავსხდებით. ერთი ხიტკვით, მოვახერხებთ როგორმე.

დედაჩემმა სკამი გამოიტანა. ზედ ჩაის ტილო გადაფარა. ტილოზე შოთები დაალაგო. მერე დოქი და შემწვარი ქათამი შემოიტანა, პამიდორი გარეცხა, ხახვიც მოიტანა, ჭიქებიც. ჩვენ კიდევ ჩემი გარწეული ნიკოზი გამოვაჩინეთ და... მე და თამაზი სუფრას მივუხდეთ.

– აბა, ახლავე შევთანხმდეთ, – ვუთხარი თამაზს, - მე სადღეგრძელოს ვიტყვი და ღვინოსაც დავლევ, შენ სადღეგრძელოს იტყვი და ღვინოს არ დალევ.

თამაზმა გულიანად გადაიხარხარა:

– ეგ რაღა ქეიფი გამოვა? თუ სადღეგრძელს ვიტყვი, ღვინოც უნდა დავლიო.

– დათვრები.

– ვხუმრობ, გიგა ძაავ, განა მართლა დავლევ!

შემწვარი ქათამი გავწიეთ და გამოვწიეთ: კოტრი და პამდორიც გეახელით. შემდეგ ჭიპა აავიე და ვთქვი:

– ამ ჭიქით ჩვენს პაპებს გაუმარჯოს! ხომ კარგი სადღეგრელია?

– კარგია! – თქვა თამაზმა, – პაპას გაუმარჯოს!

– მარტო შენს პაპას კი არა, ჩემს პაპასაც. – შევუსწორე ხიტყვა.

დავლიეთ. უფრო სწორად, მე დავლიე, თამაზმა კი ჭიქას აკოცა.

ქეიფი ვანა მარტო ღვინის სმაა! ქეიფი – ლხინი და სიხარულია.

– ახლა ის მიამბე, გიგა ძაავ, პაპა რომ ქვევრებს გარეცხნებოდა.

– მაგაზე აღვილი რა არის! ჩამოვედი ერთხელ სკოლიდან. გავიხედე და ბიძაჩემი მეძახის: „გიგლაა!“ შენთვის რომ გიგა ძაა ვარ, მისთვის გიგლა ვიყავი: ისე მიყვარდა, რომ... ჰოდა, ბიჭი ხარ და ბიძაშენის დაძახებაზე ნუ წახვალ! წავედი. მივედი და რას ვხედავ: ცამეტსფიანანისათვის გადაუხლია და ფეხდგომელა ხან ერთი მხრიდან ჩაპყურებს და ხან მეორედან.

რა გინდა, ძაავ-მეთქი.

რა მინდა და, ქვევრში უნდა ჩახვიდე და გარეცხო.

– ცამეტჩაფიანში?! ე! – გაიცინა თამაზმა.

– ჰო, ცამეტჩაფიანში. შენოდენა კი არ ვიეწებოდი, მე უფრო პატარა ვიყავი მაშინ. ჰოდა, გამიხარდა, ისე გამიხარდა, ვერ აგიწერ.

– მეც გამიხარდა, წელან რომ დამიძახე.

– ვიცი. ჰოდა, ჩავედი ცამეტჩაფიანში და დავუწყე რეცხვა. ბიძაჩემი კი თავზე დამადგა და მაღლიდან მასწავლიდა.

– რას მასწავლიდა?

– იმას, რაც წელან მე გითხარი: კრაზანა ღრმად ჩაუშვი წყალში და მერე უცემ ამოუსვი, რომ ბევრი წყალი ამოატანინო; რეცხვა მაღლიდან დაიწყე და მერე თანდათანობით ძირს ჩაუვეეთო.

– ხულ ეგ გასწავლა?! ეგ ხომ მეც ვიცი!

– რიდის ისწავლე?

– ჰოდა, რაც ბიძაჩემისაგან ვისწავლე, მეც ის გასწავლე, მეტი კი არაფერი.

ჭიქა შევავსე. თამაზი ძალებიანად ახრამუნებდა ქათმის ფრთას და თან გულისყურით მისმენდა.

– კიდევ... კიდევ რა გასწავლა პაპამ?

– ბევრი რამ.

ჭიქა ხელში აავიე, ნაკაზე თითი ხერხიავით გავიხვ-გამოვისვი და ახალი სადღეგრძელოს თქმა დავაპირე.

– აბა, ისიც მიამბე, გიგა ძაავ, თიკის დადგმა როგორ გასწავლა.

– ეგეც აღვილი სამსახურია, – ვუპასუხე და ჭიქის დაუდგომელად განვაგრძე: – როგორც კი გაზაფხული დაიწყებოდა, ბიძაჩემი ყოველ საღამოს ბალახს ეზიდებოდა. ღღისით კოლმეურნეობაში მუშაობდა, საღამოთი ამოიღებდა, ჭნის პირებში გამოთიბავდა ბალახს, აკიდებდა სახედარს და მოაქონდა. მერე ეზოში გაფენდა იმ ბალახს, გააშრობდა და ერთ მშვენიერ საღამოს დამიძახებდა: „გიგლაა!“

– ღვინო გეღვრება, გიგა ძაავ!

აფირავებულ ჭიქას ხელში ვისწორებ და ისევ განვაგრძობ:

– მე ჯერ აიენიდან გავაგონებდი და, როცა მეტყოდა, ჩემთან ჩამოდიო, ჩაეირბენდი კიბეს და ერთ წუთში მახთან გაგჩნდებოდი.

– მეც ხომ ჩქარა მოვედი წელან?

– კი, ჩქარა მოხვედი. ჰოდა, ძაა ჩასვამდა ნაკაღოარზე მაღალ სარს და თიკის დადგმას შეუდგებოდა.

– შენ არ შეგლოდი?

– არა. სანამ ძირიდან აწევებოდა,

თვითონ დგამდა. მე მხოლოდ ვუყურებდი და ვსწავლობდი. როცა ცოტა წამოამაღლეურებდა და სარს ნახევარზე ზემოთ აიცდენდა, მაშინ შემსვამდა ხოლმე მაღლა: აბა, ახლა მე მოგაწედი და შენ დადგიო. ფიწლით რომ თავის თალმას მომაწვდიდა, თვითონ განზე გადგებოდა და მასწავლიდა: აი, ცოტა შიგნით შესწიე თალამი, ცოტა გარეთ, ცოტა იქით, ცოტა აქეთო...

– ღვინო გეფერება, გიგა ბაავ!

ჭიქას ხელში ვისწორებ და ისევ განვაგრძობ:

– მერე, თანდათან რომ ამაღლდებოდა თავი, სარს მაგრად მოეჭიდეო, მეტყოდა. მეც ტკბილად მივეკერებოდი სარს და ფეხებქვეშ ხელით ვეჭეუნავდი თავას. სარი აქეთ-იქთ ქანაობდა და მეც ესე ვირეფეოდი...

– ღვინო გეფერება, გიგა ბაავ!

– ჰო, ვიცი... ვირეფოდი ასე და მეშინოდა, ან ახლა მოიგლეჯება სარი და ან ახლა-მეთქი, მაგრამ ბიძაჩემი დაბალდან მანუგეშებდა: სარს მაგრად მოეჭიდე და, ნუ გეშინია, არ მოგიტყდება, შვინდიანშია მოჭრილი. აბა, აეს, ჰატარა კონა სარს წვერზე ჩამოაგე და მერე აეთ თოკს ამოგიგდებ, მოებდაუჭე და ჩამოეცურდეო.

– რომ მოგლეჯილიყო?

– სარი ხომ ბიძაჩემის ჩასმული იყო და რანაირად მოიგლეჯებოდა!

– მართალია. პაპარემი ყველაზე ყოჩაღი იყო, მოდი, პაპა ვადლეგრძელოთ!

– ვადლეგრძელოთ, მაგრამ პაპების სადლეგრძელი ჩვენ უკვე დავლიეთ და ახლა იეი, როგორ მოვიქცეთ? მოდი ჩვენს ბიძეს გაუმარჯოს! მამებთან ერთად ისინიც გვზრდიდნენ. არც მათ ავიწყდებოდათ თავიანთი ბიძები და ნურც ჩვენ დავივიწყებთ.

– გაუმარჯოს!.. შენს ბიძას გაუმარჯოს და ჩემს ბიძას გაუმარჯოს!

– ჩვენს ბიძებს გაუმარჯოს!

ანუკა გაბუნია

ანუკა გაბუნია 12 წლისაა და ხენტ-ქეზიუვრის სახელობის ფრანგულ კოლეჯში სწავლობს. ფრანგული ენა ძალიან მოსწონს და უყვარს, ზმორად მონაწილეობს სკოლაში დადგმულ ფრანგულენოვან სპექტაკლებში. საერთოდ ანუკა ენებისადმი მიდრეკილებით გამოირჩევა და ამიტომ ინგლისურსაც სიამოვნებით ეუფლება. მუსიკალურ გოგონას ასევე ძალიან უყვარს ცეკვა და სიმღერაც. ეს ნიჭი მას მხატვრული ტანვარჯიშის სტუდიის მეცადინეობებზეც ეხმარება (ხელმძღვანელი ქ-ნი ნელი სალაძე). ანუკას შემოქმედებით ბუნებაზე მეტყველებს ხატვის სიყვარულიც, იგი უფრო ხშირად მოდელებს ხატავს. ყველაფერთან ერთად ანუკა პატარ-პატარა ჩანახატებსა და ლექსებსაც წერს.

ფიფქი

თოვს...
ადამიანებს თოვლი წარბებსა და ნამწამებზე ადგება.
მე ძალიან მაინტერესებს, რა არის თოვლი. ხელს რომ გავიშვერ, ზედ მადგება ხოლმე.
მე მგონია, რომ თოვლსაც სული აქვს და ამიტომ როცა დნება, ძალიან მტკივა გული, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს მე თვითონ ვდნები.
თოვლს რომ ვუყურებ, მასში უამრავ ფერს ვარჩევ. ფიფქები რომ ცვივა, ასე მგონია, ფიქრებით გატენილი ხურჯინიდან ცვივა.
მე ძალიან მსიამოვნებს ზამთრის სურათის ყურება. ასეთ დროს ბუნება ძალიან ლამაზი სანახავია.

ადვილია

ადვილია ლექსის წერა,
როცა მასზე გეფიქრება,
ადვილია მაშინ ფიქრი,
როცა ზღვაში ქენჯეებს ისერი,
ადვილია მაშინ წერა,
როცა მუზა მოგეჩრება.

ყველაზე დიდი სიჯელე

ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული პრობლემა, რომელმაც საქართველოში ბოლო წლებში იჩინა თავი, – მოუსაფარი, უპატრონო, ანუ „ქუჩის ბავშვების“ მომრავლება, არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის ზრდა, – ჩვენდა საბალოდ და სამარცხვინოდ, კვლავაც გადაუჭერელი რჩება. თუ სახელმწიფომ, საზოგადოებამ, თითოეულმა ჩვენგანმა გულთან ახლოს არ მიიტანა და არ გაითავისა ბზაანბეული, ბედის ანაბარა დარჩენილი იმ პატარების სატკივარი, რომლებიც იძულებულები არიან იმათხოვრონ, ფწაწწალონ, იქურდონ, მისდიონ პროსტიტუციას, მიეძალონ აღკოჰოლს, ჩაიდინონ სხვადასხვა დანაშაული, მოყლე ხანში მათი სახით მივიღეთ გაბორიტებულ, უიმედო, მორალურად და ფიზიკურად განადგურებულ ახალგაზრდობას და შესაბამისად – ურთულესი პრობლემების კომპლექსს. გამომდინარე ყოველივე თქმულიდან, სულ უფრო აქტუალურ ხასიათის იძენს ხსენებული კატეგორიების არასრულწლოვანებზე ზრუნვის ნებისმიერი გამოვლინება, აქედაყენ გადადგმული ყოველი ნაბიჯი.

ერთ-ერთი ასეთი ნაბიჯი გახლდათ რამდენიმე წლის წინ ქალბატონების ნ. გორდეზიანისა და ნ. თოთიაურის მიერ მოუსაფარი, მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისთვის გამიზნული კაცშირის „რწმენა“ და მისი ფილიალის „რწმენა-I“ დაფუძნება.

გლდანის მასივის მე-8 მიკრორაიონში მდებარე ბავშვთა თავშესაფარში „რწმენა-I“, რომლის დირექტორი ბატონი ჰაატა ქოჩორაშვილი გახლავთ, ბინადრობს სხვადასხვა კატეგორიის 3-დან 15 წლამდე ასაკის 60 ბავშვი – ობოლი, მოუსაფარი, მარტოხელა, ე.წ. „ქუჩის ბავშვები“, დედების და მრავალშვილიანი ოჯახების შვილები.

მიუხედავად იმისა, რომ „რწმენა-I“-ის დირექცია და მთელი პედკოლექტივი ცდილობენ ცხოვრების ნორმალური პირობები შეუქმნან პატარებს, დღეკანდელი ეკონომიკური კრიზისის გამო მაინც ბევრი სიძნელე ექმნებათ და ბევრი რამ აკლიათ.

ამ წერილით „რწმენა-I“-ის დირექციას, აღსაზრდელებს, პედაგოგიურ კოლექტივს დიდი სურვილი აქვთ საზოგადოების ფართო ფენებს გააცნონ ადამიანები, რომლებსაც ამ ძნელბედობის ჟამს გულთან ახლოს მიაქვთ ბავშვების გასაჭირი, ადამიანები, რომლებიც თავიანთი მამულიშვილური ვალკაცობითა და შემართებით ქველმოქმედებას ეწევიან, უშურველად გაიცემენ სითბოს, სიყვარულს, მზად არიან მხარში ამოუდგნენ და დახმარების ხელი გაუწოდონ მოჭვავსს. ერთ-ერთი ასეთი ადამიანი გახლავთ ჩარხმშენებელი ქარხნის სააქციო საზოგადოება „უნივერსალი“-ს დირექტორი ბატონი ნოდარ ჩხაიძე. ბატონმა ნოდარმა მიაკითხა მოუსაფარ ბავშვთა სახლ „რწმენა-I“-ს, გაიცნო იქ არსებულ პრობლემებს და სულ მალე რეალური დახმარებაც გაუწია. ბატონმა ნოდარმა და მისმა თანამშრომლებმა ბავშვებს მოუწყვეს ბიბლიოთეკა, შენონის დაზიანებული მთავარი შესასვლელი კარი ლითონის ახალი კარით შეცვალეს, არც საახალწლოდ დაივიწყეს პატარა მეგობრები და საჩუქრებით დატვირთულები ეწვივნენ მათ, რითაც ძალიან გაახარეს ბავშვები, რომლებმაც თავის მხრივ, საკუთარი შემოქმედებათ ასაამოვნეს სტუმრები, გაუმართეს კონცერტი, მერე კი მათთან ერთად სამახსოვრო სურათიც გადაიღეს.

„რწმენა-I“-ის აღსაზრდელებს და თანამშრომლებს არასდროს დაავიწყდებათ ნოდარ ჩხაიძის სიტყვები, მთ მიერ გადახდილი მადლობის პასუხად რომ უთხრა ქველმოქმედმა: „ეს ხომ ყველა ჩვენგანის ვალია, ბატონებო, ბავშვების წინაშე. ჩვენი მომავლის წინაშე!“

ყველა რომ ასე აზროვნებდეს და მოქმედებდეს, საერთო სატკივარსაც უფრო მალე ეშველებოდა და აღარც ამდენი მზრუნველობასმოკლებული, მოუსაფარი თუ რწმენადაკარგული ბავშვი გვეყოლებოდა ქვეყანაში. „რწმენა-I“-ის პატარა ბინადრები და თანამშრომლები გულითად მადლობას უხდიან ბატონ ნოდარ ჩხაიძეს და მის თანამოსაქმეებს მათი კეთილშობილური მისიისთვის, ლოცავენ, ბედნიერებას და დღეგრძელობას უსურვებენ მათ.

დასამახსოვრებელი სახელები

მაშინ ვვანცა სულ პატარა იყო – დაკვრა რომ დაამთავრა, ინსტრუმენტი დახურა და აღტაცებულმა დაკიცა იგი. სწორედ მაშინ დარწმუნდნენ საბოლოოდ მისი ბიჭდაგოგიც და მშობლებიც, რომ მუსიკა ამ ბავშვისთვის არც ვართობაა და არც უბრალო გატაცება, არამედ მისი პირიფეროვნ სამყაროს ნაწილია, ხოლო ფორტეპიანო უბრალოდ საყრაი კი არ არის, არამედ რაღაც ბევრად უფრო მეტი, სულიერი არსებაა, რომელთანაც ის ჩამრნინეულ ურთიერთობას ამყარებს.

ალბათ, ამიტომაც ალარ უკვიათ, რიდესაც გოგონა ძალზე თავიანებულად ახასიათებს ყველა ის ფორტეპიანოს, რომელზეც კი დაკვრა უხდება. ვვანცას ახრათ, საირმის ქუჩაზე მდებარე ხელოვნების სკოლის ინსტრუმენტი. იმ გოგონასავით არის, რომელსაც ეფერები, ის კი უგრძნობა, გაზვეებული რჩება; კონსერვატორიის როიალი ნაზი ქალივითაა, რომელიც, რომ მიეფერები, სიყვარულით, სითბოთი გიპასუხებს; ხოლო საკუთარ ინსტრუმენტს, ოჯახში რომ აქვთ, ვვანცა თავის მამას ამსგავსებს – მძიმეოსავით ჯიუტმენიაო...

სამი წლისაც არ იყო ვვანცა, როცა ახლობლებმა ყურადღება მიაქციეს, თუ რა გასაოცარი სიზუსტით იმეორებდა იგი ერთხელ მოსმენილი ნებისმიერ მელოდიას, ცოტა ხანში კი მისივე დაკვნებით მუსიკის ბედგაოგიან დაინტეს მეცადინეობა.

– მეცადინეობას თამაშ-თამაშშ შეეუფეძეთ, – იხსენებს ქალბატონი მაყვალა ვახტანგიშვილი, – ვფეერობდი, ჯერ ძალიან პატარაა და არ გადაიღალოს, მუსიკისადმი ინტერესი არ დაეკარგოს-მეთქი, მაგრამ ვვანცა საოცრად სწრაფად მიიწევდა წინ, ზუთი წლისა უკვე უკრავდა, ძალიან მალე აითვისა მისი ასაკისთვის საკმაოდ რთული ნაწარმოებები, საერთოდ ათვისებს საოცარი ნიჭით არის დაჯილდოებული, ბეერაზე თვითონ მუშაობს, ყოველთვის დიდი ხალისით მეცადინეობს, აღვილად ძლევს ნებისმიერ ნაწარმოებს. მინდა გითხრათ, რომ ვვანცა ძალიან საინტერესო და ემოციური პიროვნებაა, ემოციურობა მის მიერ ამა თუ იმ ნაწარმოების შესრულებისასაც იგრძნობა...

როგორც ჩანს, ნორჩ მუსიკოს მოცარტიც ამტრამ უყვარს გამორჩევით, ამ ბენეალური კომპოზიტორის მშფოთვარე, ბობოკარ ცხოვრებასაც იცნობს და რიცა მოცარტის ნაწარმოებებს უკრავს, შინაგანად მის სულს გრძნობს. ერთხელ (მაშინ ვვანცა 5 წლის იყო) მაყვალა მასწავლებელმა ჩაკოვსკის „თოჯინის დაკრძალვა“ დაუკრა და ამ სვედიანმა ნაწარმოებმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა გოგონაზე, რომ კარგა ხანს გულამოსკვნილი ტიროდა, მერე კი მტკაცე უარი განაცხადა ამ ციკლის შესრულებაზე.

მოსწავლე-მასწავლებლის, – გვანცა ფუტკარაძის და მაყვალა ვახტანგიშვილის – ერთლბლივი შრომის შედეგის შეფასება მუსიკალურმა საზოგადოებამ პირველად მაშინ შეძლო, როდესაც 6 წლის პიანისტი საქალაქო კონკურსზე წარდგა. საკონკურსო ფებიუტი წარმატებული გამოდგა – გვანცამ დიპლომი დაიმსახურა. იმავე წელს გვანცა ფუტკარაძემ ასევე წარმატებით დაუკრა ეევანნ მიქელაძის სახელობის ორკესტრთან ერთად (დირიჟორი რ. ტაკაძე), შარშან გამართულ მ. დოიგაშვილის კონკურსში მან კონკურსგარეშე მიიღო მონაწილეობა, მუსიკალური სკოლების საქალაქო კონკურსზე ეიერიმ I პრემა არაგის მიაკუთვნა, II კი გვანცამ დაიმსახურა. ამ წარმატებების შემდეგ ქალბატონი მაყვალა ვახტანგიშვილი მოწაფის სოლო კონცერტისთვის მზადებას შეუდგა. გვანცას და მისი პედაგოგის დიდი შრომა წარმატებით დაგვირგვინდა. ახლახან თბილისის 21-ე საშუალო სკოლის (დირექტორი ქალაბერნინ ნინა ჯოლია) მეოთხე კლასის მოსწავლე გვანცა ფუტკარაძე კონსერვატორიის მცირე დარბაზში პირველი სოლო კონცერტით წარდგა მსმენელთა ფართო აუდიტორიის წინაშე. გვანცამ პირველ განყოფილებაში დაუკრა ბახის ორხმიანი და სამხმიანი ინვენციები, ჰაიდნის არიეტა ვარიაციებით, ჩაკოვსკის „ტოროლის სიმღერა“, მოცარტის სონატა №15, ლისტის „ნუგეში“, შუბერტის ექსპრომტი, მეორე განყოფილებაში კი ეევანი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან ერთად (დირიჟორი რ. ტაკაძე) მისი საყვარელი მოცარტის №8 საფორტეპიანო კონცერტი შესრულა. სპეციალისტებმა და პროფესიონალმა მუსიკოსებმა, რომლებიც მრავალად იყვნენ დარბაზში, ერთხმად აღნიშნეს ნორჩი პიანისტის საინტერესო მუსიკალური აზროვნება, კარგი ტექნიკა, რბილი და ამავდროულად ძლიერი ბგერა. ისე რომ პირველი სოლო კონცერტით გვანცა ფუტკარაძემ დაამტკიცა, რომ მომავალში ქართველი მუსიკოს-შემსრულებლებს მისი სახით საინტერესო შემოქმედებით ხელწერის შემოქმედი შეემატება.

ვვანცა ფუტკარაძე

გვანცასთვის მუსიკა უმთავრესია, მაგრამ მს ხატვაც ძალიან უყვარს, უფრო ხშირად კი ცხოველებს ხატავს, ამიტომ რომ ისინიც ძალიან უყვარს. სულ ძალიზე ოცნებობს, მაგრამ ჯერ ისეთი ბინა არა აქვთ, რომ ძალლს ყოლა შეიძლებოდეს, მაგრამ მამაც და ძმებიც (ვვანცას თავისზე ბევრად უფროსნი, სტუდენტები ძმები ჰყავს – სანლრო და მიშიო – რომლებსაც თავს ეკლებიან დაიკოს), ჰპირდებიან, რომ აუცილებლად შეუსრულებენ სურვილს,ჯერჯერობით კი ვვანცას ორი შშვენერი თუთიყუში ჰყავს.

ჩვენ ისაა დაგვრჩენია აღვნიშნოთ, რომ ვვანცა ფუტკარაძე თბილისის არასაუხლესწიფო საერო სკოლა „ალბაინოს“ მეოთხე კლასის წარჩინებული მოსწავლეა.

მეგობრობა გვლდ და ბილდლ

ჩვენ უკვე ეწერდით იმის შესახებ, რომ თბილისის 24-ე საშუალო სკოლის Ia კლასის მოსწავლეებმა (კლასის ხელმძღვანელი ქ-ნი ია კუბიანიძე) მეგობრული კავშირი დაამყარეს გერმანელ თანატოლებთან, ქ. ოსნაბრიუკის იოჰანეს სკოლის პირველკლასელებთან. ახლახან ამ ურთიერთობის გაღრმავება-განმტკიცების მიზნით ქართველ პატარებს გერმანელი სტუმრები – დამეგობრებული კლასის მასწავლებელი მეხტჰილდ შნიტცლერი და მისი მეუღლე ეწვივნენ. 24-ე სკოლაში მათ საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს, ეღირა საქართველოს და გერმანიის სახელმწიფო ჰიმნები, ფრიალებდა ორი ქვეყნის სახელმწიფო დროშები, სტუმრები ვვავილებს ათასფერ ზღვაში ჩაიძირნენ. ია მასწავლებლის აღსაზრდელებმა გერმანულ ენაზე შეასრულეს სიმღერა „გუტენ მორგენ“. კლასის სახელით სტუმრებს გიორგი ვადაჭკორია მიესალმა, მან მათ თავისი თანაკლასელები წარუდგინა, მერე კი ყოველმა მათგანმა სათითაოდ გაიცნო თავი დამსწრე საზოგადოებას. იხმოდა სიმღერები, ლექსები ქართულ და გერმანულ ენაზე. ასეთი დახვედრითა და მოსწავლეთა მომზადების დონით გაოცებული გერმანელი სტუმრები აღტაცებას ვერ მალავდნენ. მათ მადლობა გადაუხადეს მასპინძლებს და გერმანელი პატარების ხელით დამზადებული ალბომი და პატარ-პატარა საჩუქრებიც დაურიგეს: ფერადი ფანქრები, საშლელები, სახტუნაოები, სათლელები, სახაზავები.

გარდა ამისა, ოსნაბრიუკელმა თანატოლებმა თბილისელ გოგონ-ბიჭებს საჩუქრად გამოუგზავნეს გერმანული სიმღერების კრებული და ფირი მათ მიერ შესრულებული გერმანული სიმღერების ჩანაწერით, გერმანიის რუკა, გერმანული ანბანი, ნაირგვარი თვალსაჩინოებები, პლაკატები, გასაფერადებელი და ფერადი ქაღალდები, თემატურად შერჩეული ლექსები. ეს ყველაფერი ჩვენს პატარებს შორეულ მეგობრებთან შემდგომ დაახლოებამი, მათი საშობლოს, მისი ცხოვრების წესის, კულტურის, ისტორიის გაცნობაში დაეხმარება.

მასპინძლებმა სტუმრები „ეგეობრობის ოთახში“ მიიწვიეს, დათვალიერებინეს აქ გამოფენილი ექსპონატები და უამბეს, ვისთან აქვს 24-ე სკოლას დამყარებული მეგობრული ურთიერთობა, ბოლოს კი, სამახსოვრო საჩუქრებიც მიართვეს მათ.

დიდი მოკითხვა და მალე შეხვედრის სურვილი დაბარეს ქართველმა მოსწავლეებმა სტუმრებს გერმანელ თანატოლებთან და აღუთქვეს, რომ ახლა, როცა ყველა მათგანმა ისწავლა წერა-კითხვა, უშუალოდ შეხვედრამდე, ურთიერთობას წერილობით გააგრძელებენ.

გიორგობა ღღეს თბილისის ანზორ ჩაფიძის სახელობის 147-ე სამეალი სკოლაში გამართულ მოსწავლეთა თვითმმართველობის საღამოს მეორე ნაწილი მთელანდ მეთეთრმეტეკლასელი დათო პატარიძის შემოქმედებას მიეძღვნა. საღამოზე, ხომელიც ჰედგაგოგ მაია ჯანთარიას მიჰყავდა, დათომ სხვა ლექსებთან ერთად სკოლის დირექტორის, ჯნ ნინო ჯოგლიძისადმი მიძღვნილი სიყვარულითა და პატივისცემით გამთბარი ლექსიც წაიკითხა. გთავაზობთ დათო ჯოგლიძის ოთ ლექსს.

სიწმინდის თასი

ყველა ჩვენგანის თვალოებს
გასდევს წარსულის ხანი,
რომ არ გაღრმავდეს ფუფრო,
იგრძენ ცხოვრების თასი.
შეუცდომელი კაცი
არსად არ დადის დღესო,
ერთი შეცდომა თორმე,
მოსდლია ჭკვიან ბრძენსო,
და ამიტომაც თვალოებს
ატყვია ცოდვის კვალი,
თუ მასში სხვი არ ჩანს,
არის ჩვენივე ბრალი.
გრძნობა, ჩაქრალი გულში
ააგზგზე ცეცხლად,
და თვალში ნაპერწკალი
გადმოიღვრება ვერცხლად.
ცრემლები მოგვგვრის შვებას,
ცოდვას შეგინდობს ღმერთი,
მოინანიე თორდაც
შენი შეცდომა ერთი.
ეშმერს მიეცი პური,
მწყურვალს დაუსხი წყალი,
და შენ თვალოებში ისევ
გაჩნდება ნაპერწკალი.
სიწმინდითა და გრძნობით
ულდა აივსო გული,
და ვაჟკაცობას შენსას
ვერ გადაწონის ფული.
და ამის შემდეგ თვალოებს
გაჰყვება გრძნობის ხანი,
რადგან შენ უკვე იცი
მონანიების თასი.

საქართველო

მიყვარს შენი ერი — ქალი, კაცი, ბერი.
მიყვარს საქართველო, ერთიანი მთელი.
მიყვარს ცისარტყელა, ნაირფერი ზოლით.
მიყვარს ფეხფარფერი, შემოსილი ბროლით.
გული მიყვარს შენი, საქართველოს თვალი.
ფეტეხი და ნარიყალა ფედიდურად მდგარი.
ტანეთა მიყვარს შენი და ნათელი ჯვარი.
მიყვარს მოყვარესთვის გაღებული კარი.
მიხარია, დღეს რომ თავისუფალს ვხედავ.
მიხარია, დღეს რომ სიმართლის თქმას ბედავ.
მეც დავიკრეფ ვარდებს და დავბანე გულზე!
კარგ კაცს რა გამოლევს დედამიწის ზურგზე!
არ მენახოს შენი ტტერი ძალოსანი,
შეილი ობოლი და დედა შაოსანი,
ეკლავაც პირველობდეს „ვეფხისტყაოსანი“
და წინ მიგიძღოდეს დროშა ჯვაროსანი.

რატომ ვამბობთ ასე?

ტყემალზე ზის – უვიცია, არაფერი გაგეგება. მოგეხსენებათ, ტყემალს ხილეულში უკანასკნელი ადგილი უჭირავს, უკეთ, ხილად საერთოდ არ იხსენიება. მარტო ხილს დანატრებული ადამიანი თუ მონიდომებს ტყემლით პირის ბანველებას, ხოლო როცა სხვა ხილეცაა და ამ დროს კაცი ტყემალზე ავა და თავსაც მოიტყუებს – ხილსა ვჭამო, და სხვასაც მოუნდომებს მოტყუილებას, იფიქრებენ, ეს კაცი ჭკუაზე ვერ არისო და პირში მიახლიან: ტყემალზე ზიხარო!

ავალმა ტაში და ბევრი ერთად დაფშვნილა (ანუ ცივა) – ძალიან ცივა, დაუთნებელ ტმრებსაც კი დაავიწყდებაო ერთმანეთის მტრობა.

შეშრანი ფაალი – უმანკო, ხელშეუხებელი. ხალხის აზრით, როცა სოფელში ყველა დაიძინებს, მთელი დღის დინების შემდეგ წყალიც ისვენებს, იძინებს დილამდე, სანამ ადამიანის ხმა არ შემოვსმებს, უმზრახად, წმინდად, უმანკოდ არის. ახალ წელიწადს, დილაადრიან, გლეხი (შეკვლე) ცდილობდა სახლში „უმზრახი წყალი“ შეეტანა, – ხიკეთე მოჰყვებაო.

პირი-სახეზე ფეთი ჩამოსდის – სულ დაღვრემილია, მოღუშულია.

თაფვეში სოროფი შეფაირავენ – ითქმის ძალზე ხუსტ, ბეჩავ, მიკნაავებულ, უნებისყოფო ადამიანზე, რომელსაც ყველა ჩაგრავს და აბუჩად იგდებს.

თეალეთის ბლუა – უქონელი, უკანასკნელი მათხოვარი, თელეთი მთაა თბილისის სამხრეთით. 23 აპრილს აქ ამართებოდა ფლეობა (თელეთობა) და ქალოცველებთან ერთად უამრავი მათხოვარიც იყრიდა თავს. ისინი ქალოცველებს არ ასვენებდნენ ნინა და სანამ არ გაიკითხავდნენ, არ მოეშვებოდნენ.

თეფში გაფჩელი ბარი და ნინასი – ერთმანეთს მხოლოდ ხეცდილი დაგაშორებთ. ასე ეტყვიან მოყვარულ ცოლ-ქმარს და ამით გამოხატავენ იმ აზრს, რომ ერთმანეთს არ დაშორდებიან მანამდე, მანამ ბარი და ნინასი არ გახდება საჭირო სამარის გასათხრელად, ე.ი. სანამ არ მოკვდებიან ან ორივე ერთად ან ერთი.

ტა და ტა ჰქვია ტასს და ტას



ფეფაბოქი



ფანეარა

სიტყვის კონა

თაფვეფელი – სულელი, ბერრელე ჭკუის პატრონი, ჩურრიუტი.

თანაგეფდარი – ვინმესთვის თავგანწირული.

თარაკამა – უზრდელი, ტლანქი, ანზრული, სამაგალი.

ტიბსუნი – ღვინის სმის მოყვარული, ლოთი.

რაბა – კაპებიანი ჯოხი.

სოფლაბარი – დიდი ვაჭარი, ბითუმად მოვაჭრე.

ჩაქარა – გურულების, აჭარლებისა და მესხების ქვეყნებური ტანსაცმელი – მოკლე წელზევითა ჩოხა და ვიწროტტებიანი, თავგანიერი, ხვანჯრიანი შარვალი.

ფალი – ორი წლის თხა.

ფალიკი – სიგრძივ ერთმეორის მიყოლებით მიმაკალი ოთხფეხი ან ფრანველი. წალიკად – გამწარივებულად.

ჭიჭკი – პატარა და მოშეცდარი ნელი ტარო.

ხარო – ღრმა ორმო.

ხრილი – ფქვილის მტვერი (წისქვილის ქვებზე). ხეზე დადებული მშრალი თოვლი. ჩურრხელაზე, ტკბილის კვერზე თეთრად მოდებული შაქარი.

„ლექსო, ამოგთქომ ოხერო...“

დიდი და მდიდარია ჩვენი ხალხის სულიერი საუნჯე. ქართული ხალხური პოეზიის საგანძურში ლექსების, პოემების, ბალადების, სიმღერების, თქმულებების სახით დაცულია უამრავი ძვირფასი მარგალიტი. ამ ლექსებით უმდიროდა ქართველი კაცი სამშობლოს, აქებდა მოამეთა ვაჟკაცობას, აქებდა ქართველი ქალის სიტურფეს, ამ სიმღერებით მიდიოდნენ ჩვენი წინაპრები ომში და ამავე სიმღერებით ბრუნდებოდნენ, ეს სიმღერები ახლდა თან გუთნისდედის შრომას...

თაობიდან თაობას გადაეცემოდა ქართული ხალხური პოეზიის საუკეთესო ნიმუშები, ვრცელდებოდა საქართველოს მთასა თუ ბარში, საკეთესა და საყვარულს თესდა ხალხში, სამშობლოსთვის თავდადებას, რაინდობას, თანადგომას ასწავლიდა ქართველებს, ამდიდრებდა მათ სულს და გონებას. აი, ამ საგანძურიდან ამოყრილი მარგალიტები, ქართული ხალხური პოეზიის საუკეთესო ნიმუშები ააყვრეს ამ დღეს სერვანტესის სახელობის სკოლა-ლიცეუმ „აიას“ (დირექტორი ნონა ბოლქვაძე) მოსწავლეებმა ხალხური პოეზიის საღამოზე, რომელსაც სახელად ცნობილი ლექსის პირველი სტრიქონი შეურჩიეს – „ლექსო, ამოგთქომ, ოხერო..“ ქართული ხალხური ყოფისთვის დამახასიათებელი კომპონენტებით – ფარდაგებით, ჭურჭლით მორთულ იმპროვიზებულ სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ მესამეკლასელები: მარი გიგაური, ანა ძიძიგური, ანა ფანცულაია, თენგო მაისურაძე, თეონა ჩიტაური, რუსუდან ცინცაძე, მეოთხეკლასელები: ნინო ირემაძე, ნიკა ბადაშვილი, მარიამ გერსამია, ნინო დაეითაშვილი, თინათინ მზეიძე, მაგდა სვანძე, მარიამ წიწიკაშვილი, ბაია ჯუღელი. ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილმა გოგო-ბიჭებმა წაკითხეს ხალხური სატრფიალო თუ საკმარო პოეზიის საუკეთესო ნიმუშები, იმღერეს, იცეკვეს, იხალისეს და დაამტკიცეს, რომ მათი სახით ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების საგანძურს – ხალხურ ლექსს, სიმღერას, ცეკვას – მომველელი, გამფრთხილებელი და დამფასებელი ეზრდება. დიდი წელილი შეიტანეს ამ საღამოს მომზადებაში პედაგოგებმა, ლეილა ზუბაშვილმა, რომელიც დაწყებითი სწავლების დარგში ლიცეუმის დირექტორის მოადგილეც არის, და მანანა ცუხიშვილმა.

ოდოშსერი

ნარმოგიდგენთ სერგეი ესენინის სახელობის ქარიფულ-ესპანურ სკოლა-ლიცეუმ "ვიოს" მოსწავლეთა შემოქმედებას.

ნინო ხიზანიშვილი, V კლასი

შენ საით წახვალ, ჩემო ფოთოლო?..

შენ საით წახვალ ხმელო ფოთოლო?...
ვიცი, გაფრინდები ცაში,
ჩიტივით იფრენ და ინავარდებ,
ღრუბლებზე დასკუბდები ლამის...
მიმოიქროლებ ცისფერ ლაჟვარდში,
ლამაზი ფრთაფარფატა ჩიტი,
მჯერა, ღრუბლებთან არ დარჩები,
კვლავ დაბრუნდები, ვიცი.
საოცარი ხარ, ხმელო ფოთოლო,
რად გამიფრინდი, რისთვის?
სულ იმას ვფიქრობ, ვის შეეხიზნები
ჩემგან გაფრენილი ჩიტი?...

ყურდაცქვეტილი
პატარა ბიმი

ყურდაცქვეტილი პატარა ბიმი,
ტანზე ხალებით და შავი ცხვირით,
ჭრელი თათებით და მოკლე კუდით.
თვითონ პატარა და დიდი გულით.
ჰო, დიდი გულით, ჩემი ერთგული
ფხიზელი თვალით და გონიერი,
ჩემს დანახვაზე თამაშს რომ იწყებს,
საჩხუბრად თითქოს ნაგაზსაც იწვევს.
იგი პატარა და მაინც დიდი,
უთქმელად ხვდება და ყველა იცის,
და მაინც თუკი მაწყენინებენ,
ვერ ეგუება, მტერია მისი.
ის ჩემი დიდი მეგობარია,
ჩვენ ერთმანეთის უთქმელად ვიცით,
მეც ვუმეგობრო ჩემი ვალია,
ჩვენ ხომ ერთმანეთს, მივეცით ფიცი.

შხაპუნა

წკაპ-წკუპ, წკაპ-წკუპ, წკაპუნა
მოდის წვიმა შხაპუნა,
აქეთ ისვი გალუმპა,
იქით – ფისო ხატულა.
ორღობეში სოკოს
ქოლგებს
შეეფარა თაგუნა,
წვიმას არ უშინდება
ბურთს თამაშობს აკუნა.
წკაპ-წკუპ, წკაპ-წკუპ, წკაპუნა
მოდის წვიმა შხაპუნა.

ნინო ირემაძე, IV კლასი

სერგო არჩუაძე, VII კლასი.

წვიმს

ცა მოიღრუბლა,
წვიმა დაიწყო,
ჩიტმა კვლავ ციდან
ფრთხობა დაიწყო,
აჟრიამულდნენ წვიმის წვეთები,
გამხიარულდნენ ხეთა ფესვები,
ჭექა-ქუხილი ნელა დაიწყო,
მზე ამოვიდა, შრობა დაიწყო.

მარი
გერსამია,
IV კლასი.

საქართველო

საქართველო, ჩვენი მხარე
ლამაზია და ამაყი.
მინდა, რომ სულ აქ ვიცხოვრო
და დავეკრიფო ბევრი ვარდი.
საქართველო, ჩემი კუთხე
საარაკო, თან ლამაზი.

დედა ენა

მარი
ციციკაშვილი,
IV კლასი

დედა ენა არის
ერთი
როგორც დედა
ქვეყნად – ერთი.
დედაენით
გავიზარდეთ,
დედაენით ვართ
აქამდე.
თან გაგვყვება,
რა თქმა უნდა,
„სიყვარული
ვზად და ხიდად“
ჩვენი სკოლა
„აია“ და „აი ია“.

ლევან
კოზაიძე,
VI^ა
კლასი.

* * *

ერთხელ, ისიც სიზმარში
ვნახე, ჩემო მარიკა,
მომეწონა და გითხარ
მიყვარხარ და კარგი ხარ.
შენი ნაზი თვალები
დიდ სიყვარულს მპირდება,
კვლავ ოცნებით გიხსენებ,
ოცნება ამიხდება?
მე შენ ამ ლექსს მოგიძღვნი
ჩემი გულის ფიქრებით,
ვიმედოვნებ, ძვირფასო,
მალე ერთად ვიქნებით.

იმედის სხივით

თამუნა
მუჯირიშვილი,
V კლასი.

პატარა ბიჭი
ქუჩაში მიდის
შიშით კანკალით,
ხელის ცახცახით,
ცრემლების წმენდით,
თვალების ფშვნეტით,
იმ ოთხი ბიჭის
შეხვედრის შიშით
და მაინც რწმენით,
იმედის სხივით.

საკონტროლო წერა თემაზე: „ძალიან მიყვარხარ“

წერენ თბილისის 55-ე საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლეები. კლასის ხელმძღვანელი ლონდა ზადელავაშვილი

ნინო ბერაძეს

დედა, დღეს სიყვარულის დღეა. შენ ახლა საავადმყოფოში ხარ. ალბათ ამ წერილს რომ მიიღებ, ძალიან გაგიხარდება. მე შენ მოგელი არსებით მიყვარხარ და მე ამას დაგიმტკიცებ. ძალიან მწყინს, რომ ეს სიტყვები წერილის მეშვეობით უნდა გითხრა, რომ პირადად არ გეუბნები ამ სიტყვებს. სანამ ოპერაციას გაიკეთებდი, შენი ტკივილი, კენესა ისეთი დიდ ტკივილს მაფენებდა, რომ ვერ ავიწურ. მე ყველაფერი რიგზე მაქვს, არ ინერვიულო. გკოცნი ბებრს.

ლია ფირცხალავაშვილი

მე ძალიან მიყვარხარ, მამა. მოუხდავად იმისა, რომ შენ დედას გაშორდი, ძალიან, ძალიან მიყვარხარ. შენ მე ბევრი კარგი რამ მასწავლე, მე ყოველთვის მოვდიოდი შენთან, მაგრამ გავა დღე, კეთრა და მაინც მენატრები. მინდა გაგვსაუბრო, შეგეხო, მაგრამ შორს ხარ, თვალწე ცრემლი არ მაშრება. ძალიან მიყვარხარ, ვფიქრობ შენზე, მესიზმრები...

სალომე ჯიბლაძეს

ჩემი პატარა, ძალიან მიყვარხარ, მომენატრე. ელენე კარგად არის, ბარეული სიტყვა თქვა და მეოთხე კბილი ამოსდის. როდის ჩამოხვალ? მოიწერე, გელოდები. აქ ძალიან კარგია, იმედია, შენ მოგეწონება. პატარა ანა სულ შენ გაგიხსენებს. მეზობლები ენატრები. დალი ბებიმ მითხრა, ეკას ჩამოსულხართ ერეკელ აქ იქნებაო. ელისმა მაღაზია გახსნა. სულაბები კი აუზი გაკეთეს. მენატრები.

სიხარულით შენი დაიო სალომე.

ანო ჯიჯიგი

ჩემო საყვარელო დედა, ძალიან მენატრები. ძალიან ვნუბავარ, რომ ამ საფეიერთოს დღეს ჩემთან არ ხარ. ამ წერილით მინდა მოგილოცო სიყვარულის დღე. ძალიან მნდა, ძალიან ჩემთან ხვიდე, რომ გნახო და მოგეფერო. სად ხარ, სად? ალბათ ეს დღეები მაღე გავა და ჩამოხვალ. შენთვის ბევრი რამე მაქვს მოსაყოლი. გიგზავნი ათას კოცნას. შენი მოსიყვარულე შვილი მაკო.

ეთერ კალანდარიძე

ნოდარ ბაბუ, ძალან მიყვარხარ, მენატრები. მართალია, არასოდეს ბანაზხარ და ვერც ენახავ, მაგრამ მაინც ძალიან მიყვარხარ. მხოლოდ სურათზე მყავხარ ნანახი, მიყვარხარ და მინდა ახლა ჩემ გვერდით იყო. ხანდახან ისე მომენატრები, რომ წარმოვიდგენ, თოფის ჩემთან ერთად ხარ. დღისით ვილვიძებ – შენ გხედავ, ვიძინებ და შენ გხედავ. მინდა, რომ ეს ფიქრები სნამდვილე იყოს.

ვიცი, რომ შენ სულ ჩემთან ერთად ხარ, (ოღონდ თუ გარდაცვლილი. მე ვიცი, რომ ახლა შენ ამ წერილს ხედავ და კითხულობ. ძალიან ვნუბავარ, რომ ვერ ენახე.

შენი საყვარელი შვილიშვილი ნოდარი.

სანდრო ქიქოსაძე

ძალიან მიყვარხარ, ჩემო საყვარელო ედედიო. ძალიან მომენატრე. ახლახან მდინარიდან დავბრუნდი. მე, დათთან და ანიკომ ბევრი ვითამაშეთ. მდინარის ნაპირზე აკაშენეთ ქვეიტის პირამიდები და სფინქსი. ერთმანეთს ველოსიპედებით საირულშიც ვქვეკრბენეთ. ახლა ჰამაკებში ვწევართ და ელპარაკობთ. ჩემო ედედო, ისე მოვყარხარ, რომ ამის სიტყვებით გამოხატვა არც კი შემიძლია. ძალიან მომენატრე. ნეტავ, შენც აქ იყო, ჩემთან ერთად, როგორ გავიბრუნდეი?! ხუთ დღეში ჩამოვდიკარო, მაგრამ ჩემი ნება რომ იყოს, დღესვე შენთან გავწმდებოდი და ისე ჩავეხუტებოდი, რომ შენს ცხოვრებაში არ დაგავიწყდებოდა. ათასჯერ გკოცნი, შენი სანდრო.

ანა ბერაძეს

ლონდა მასწავლებელო, მე თქვენ ძალიან მიყვარხართ, თქვენ 4 წელია მასწავლეთ და ერთი დღე არ გასულა, ჩვენთვის განსაკუთრებული გაკვეთილი არ ჩაგეტარებინთ. მადლობა გვაქვთენთ ჩემგან, ამას სიტყვიერად ვერ გიმხელდით და აი, ღრეც მოვდა, რომ ჩემი თქვენდამი სიყვარული წერილობით გამოვხატო. ათასჯერ გიხდით მადლობას. გკოცნით თქვენს ლამაზ ლოყებზე და თვალებზე.

ანასტასია სანდიაშვილი

ძალიან, ძალიან, ძალიან მოგენატრე, ჩემო საყვარელო ბიბიშვილო გიო. იმედი მაქვს, რომ ჩამოხვალ, უფრო დაჭკვიანებული იქნები და ადარ გადაადგმ ხოლქ ჩემს ფეხსაცმელებს ფანჯრიდან. მალე ხუთი წლის გახდები, ალბათ დამაგიბის დღისთვის ჩამოხვალ. მე ძალიან მენატრები, შენ – არა? მომიკითხე ყველა, მომწერე წერილები.

ელენე ციცანაძე

საყვარელოX, გილოცავ სიყვარულის დღეს. ძალიან მენატრები. იმიტომ, რომ შენ ჩემი საუკეთესო მეგობარი ხარ. ადრე, ჩვენ რომ ბავშვები ვიყავით, ჩემს სიყვარულს ვერ გამოვხატავთო, უფრო სწორედ ვერ ვხედავ ბოდი, როგორ გამოვხატა. ახლა, როდესაც გავიზარდე, მიეხედი, როგორ უნდა გამოვხატო მეგობრის სიყვარული, მაგრამ ამის სიტყვებით თქმა შეუძლებელია. შენ ჩემი ყველა საიდუმლო იცი, არც ერთი არ გაგეთქვამს და მრავალ გასაჭირში დამხმარეხარ, ამიტომ გითხი ჩემს მეგობრად. რომ არ მეყარებოდი, გასაჭირში მიმატოვებდი, ამით მიეხედი, რომ შენც გიყვარვარ. ძალიან მენატრები და ძალიან ვნუბავარ, რომ შენთან ერთად არა ვარ. ბევრი რამ მაქვს სათქმელი. რაჭაში ვარ და ბევრი ახალი რამ მოხდა, მაგრამ ყველაფერს ამ წერილში ვერ დავაჩეტე...

გკოცნი ათასჯერ.

ნატალია ონიანიძე

ედედიო და მამიო, დღეს სიყვარულის დღეა, მინდა ტკბილად, მშვიდად წყნარად ვიყოთ. თქვენ ჩემი სიცოცხლე ხართ... ძალიან კარგი იქნებოდა, თქვენთან ერთად ზღვაზე, ბაკურიანში წასვლა. ძალიან მენატრებით, როცა მიბრაზდებით, მაინც მიყვარხართ. ეს დღე ჩვენის მოელი საუკუნეა, იმიტომ, რომ ასეთი დღე წელიწადში მხოლოდ ორჯერაა.

ელენე ფაუშვილი

ჩემო ლამაზო და მშვენიერო მასწავლებელო, გილოცავთ სიყვარულის დღეს. მე თქვენ ძალიან, ძალიან მიყვა-

23372

რნართ და მენატრებით. როცა სკოლაში მოვედი, იმ დღიდან მოვკიბარით და გაფასებთ. ჩემი აზრით, თქვენ ყველაზე კარგი მასწავლებელი იყავით და ხართ. ახლა კი ჩემს ამბებს მოგითხრობთ.

მე, ჩემი შშობლები და ჩემი და ზღუაზე ვართ. ძალიან მენატრებით, სულ თქვენ მიდგახართ თვალწინ. ზღუაზე კარგ დროს ვატარებ. კიდევ გელოცავთ სიყვარულის დღეს, ძალიან, ძალიან მიყვარხართ.

ანა ჯიშკარაკი

ძალიან, ძალიან მიყვარხარ, ჩემო უსაყვარლესო ქმაო გიორგი. მართალია, შენ ჩემგან შორს ხარ, სოფელში, მაგრამ სულ შენზე ვფიქრობ, ძალიან მენატრები, შენს სათამაშოებს ვუელი. ახლა მე თბილისში ვარ და ვსწავლობ, მაგრამ არ მავიწყდები. შენი მეგობრები გკითხულობენ... საღამოობით უშენოდ ვერ ვძღები, დავდივარ წინ და უკან, სულ შენზე ვფიქრობ. ძალის წინ შენი ლამის პიკასაც ხელში ვიჭერ და შენს ლოგინში ვწევი. ძალე ჩამოხვალ, დრო ჩქარა გაიობენს, ჩაგეხვეტები, გეალერსები, მოელი ჩემი ძალით გაყოცებ, რომ არ დაგავიწყდეს... ათასჯერ გკოცნი...

სოფო ჩიხლაკი

ძალიან მიყვარხარ ჩემო სოფო. ვიცი, შენ ძალიან შორს ხარ, მაგრამ ამ მონატრებას უნდა გავუძლეთო. რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვვიყვარს ერთმანეთი. ძალიან, ძალიან მენატრები, ვიცი, შენც გენატრები. სულ ერთ თვეში ჩამოხვალ და სულ ერთად ვიქნებით. იცი? როცა კენტლაობდით, გვეგონა, ამას სიძულველი გვაკეთებინებდა, მაგრამ ამას სიყვარული გვაკეთებინებდა. ჩვენ ერთად ბევრ რამეს ვაღწევდით და კიდევ მივაღწევთ. მე შენ ძალიან მიყვარხარ. ამას ჩემი მთელი ერმონთია და ვულის სიყვარულით ვწერ.

ანიო ჩიგელაშვილი

მე ძალიან მიყვარხარო, ირინა და მაკო. იცით, ნამფიოლად ვერ ვხედავი, ასე სამად როგორ დავწყვეტლდი მე და თქვენ. მაკო, შენ ამ კლასში იყავი, მერე მე გადმოვედი, მერე კი, ირინა, შენ გადმოხვედი. ახლა სამად დაწყებილები დავდივართ. მერე „ჩარლის ანგელოზები" დავიარქვეთ, იმიტომ, რომ ჩვენც სამნი ვართ. მე თქენ ძალიან მიყვარხართ, გკოცნით.

ირინე ბასაკოვი

ჩემო საყვარელო დედა, ძალიან მენატრები! მინდა, მალე გნახოთ. მე ახლა ბაკურიანში ვიხვენებ, მე და ჩემი ამხანაგები ბევრს ვთამაშობთ, ვეკუნაობთ, თოვლზე ვხრიალებთ და ბევრს ვმხიარულობთ. მალე დავბრუნდები ბაკურიანიდან. შენც მომწერე წერილი, მითხარი, როგორ ხარ? როგორ დროს ატარებ? მე კარგად ვატარებ დროს, მაგრამ ძალიან მენატრები, შენ გარეშე მოწყენილი ვარ. ბევრს კოცნი.

მარი ძაღლიშვილი

მე ეს სათაური ძალიან მომწონს. ახლა მე მოგიყვებით ჩემს შეგობარზე ვახო კალანდაძეზე, ის ჩემთვის ძმასავით არის. გოგოს ვინმე მეგობარი ბიჭი აუცილებლად უნდა ჰყავდეს და მეც მყავს ის – ვახო. მე ძალიან მენატრის ეს მენატრება ჩემი მეგობრები.

მარიკა ბასიდასლაძე

საყვარელო დედა, ძალიან მიყვარხარ, ძალიან, ძალიან მომენატრე და მინდა ამ შშეენიერ დღეს მოგწერო ეს წერილი. ძალიან მინდა, რომ შენთან ვიყო. რომ ჩამოხვალ, ძალიან ბევრ საინტერესო ამბავს მოგიყვები ჩემზე და ჩვენს ოჯახზე. გკოცნი, შენი მარიამი.

